ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 220

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2019 წელი

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩის №41-ში მდებარე (ს/კ 03.01.23.762) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიგ სერვისის“ საკუთრების მიწის ნაკვეთში საავტომობილო წარმოების ქარხნის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლის მეოთხე პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-10 მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩის №41-ში მდებარე (ს/კ 03.01.23.762) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიგ სერვისის“ საკუთრების მიწის ნაკვეთში საავტომობილო წარმოების ქარხნის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია.

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიგ სერვისის“ საკუთრების მიწის ნაკვეთში საავტომობილო წარმოების ქარხნის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია